თბილისის 172–ე საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის

ნესტან კუბლაშვილის

პროექტი : „მწერლობანა“

თბილისი, 2012 წ.

მოსწავლეებში წიგნიერების უნარების განვითარების საგანმანათლებლო პროექტი

შესავალი

ის, ვინც არ კითხულობს, არაფრით სჯობს მას, ვინც კითხვა არ იცის. თანამედროვე განათლების სისტემა, საბედნიეროდ, თითოეულ მოზარდს ადრეულ ასაკშივე აძლევს საშუალებას შეისწავლოს წერა–კითხვა, მაგრამ: „წერა–კითხვა სულ სხვა რამეა, მკითხველი სხვა რამ, შუა უდევს დიდი მზღვარიო, ნათქვამი რომაა, ისეა სწორედა“. [1] სამწუხაროდ, XXI–ე საუკუნეში წიგნმა თავისი პირვანდელი ფუნქცია დაკარგა და მასთან ურთიერთობა იძულებით საქმიანობად იქცა. უწიგნოდ დარჩენილი ხალხი კი „ უპატრონოდ დარჩენილი ბავშვივითაა და ყველას შეუძლია მისი აბუჩად აგდება. ქართველი ხალხი ქართულ მწერლობასთან ერთად იზრდებოდა, მისი ზემოქმედე–ბით წერდა თავის სულიერ კონსტიტუციას და ამიტომაც იდგა მიწაზე მყარად“ [2]. უწიგნურობა, უმეცრება – აი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების სახიფათო მტერი, რომელსაც ყველამ ერთად უნდა მივხედოთ. „მწერლობანას“ მიზანიც ეს არის.

პროექტის აღწერა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უწიგნურობა, უმეცრება ჩვენი საზოგადოების სახიფათო მტერია. მოცემული პროექტი ემსახურება წიგნიერების უნარების განვითარებას და მოზარდების მოტივირებას წიგნთან დასაახლოებლად.

პროექტ „მწერლობანას“ ფარგლებში, პირველ რიგში, მოსწავლეები შეარჩევენ თანამედროვე ქართველი მწერლების 3 მათთვის სასურველ ნაწარმოებს. შერჩევა მოხდება დახურული კენჭისყრით სპეციალური ფერადი ყუთის გამოყენებით. აღნიშნული ყუთი დაიდგმება სკოლის ვესტიბიულში, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას და 10 დღის განმავლობაში ჩაყრილი ე.წ. ბიულეტინების მეშვეობით გამოვლინდება 3 გამარჯვებული ნაწარმოები, რის შემდეგაც გამოცხადდება შემდეგი სახის კონკურსები:

1) “მოარული“ სიუჟეტის გამოყენებით მხატვრული ტექსტის შექმნა

2) სცენარი მკითხველის თეატრისთვის

3) წაკითხული ტექსტის ილუსტრირება

4) ინტელექტუალთა თამაში „რა? სად? როდის?“ (კითხვები შერჩეული ნაწარმოებებიდან)

[1] ოთარ ჩხეიძე „მკითხველი“, „ქართული მე–12“, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008
[2] ოთარ ჭილაძე „ჩანაწერები“ , გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010

ვინც 14 დღის ვადაში წაიკითხავს სამივე ნაწარმოებს, იმ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ე.წ. ,,მოარული სიუჟეტის“[3] გამოყენებით შექმნან მხატვრული ტექსტი, ,ტექსტის ილუსტრაციები ან სცენარი ე.წ, ,,მკითხველის თეატრისთვის[4]. ამისათვის მათ მიეცემათ 1 კვირა. შემდეგი აქტივობის სახით მოეწყობა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომლითაც შემოწმდება წაკითხულის გააზრება. თითოეულ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები შეხვდებიან ავტორებს ლიტერატურულ კაფეში, სადაც წარმოადგენენ გამარჯვებული სცენარის ერთ–ერთ მოქმედებას ,,მკითხველის თეატრის“ ფორმატში. მათ ასევე საშუალება მიეცემათ უშუალოდ გაეცნონ მწერლებს, დასვან მათთვის სასურველი კითხვები, მათთან ერთად დააგემოვნონ ცხელი შოკოლადი და გადაიღონ ფოტოები. თითოეულ კონკურსს შეაფასებს სპეციალურად შერჩეული ჟიური, რომლის წევრებიც მასწავლებლებთან ერთან იქნებიან მშობლებიც.

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების უნარების (წაკითხულის გააზრება, ტექსტის ანალიზი, პერსონაჟზე დაკვირვება, დასკვნის გამოტანა, პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენა, არსებული ცოდნის და გამოცდილების ახალთან დაკავშირება) გამომუშავება, განმტკიცება.

„რისი ღირსიცაა ხალხი, მწერლობაც ისეთი გააჩნიაო“,–ამბობს ოთარ ჩხეიძე. მისი აზრით, მკითხველის მოთხოვნილება, გემოვნება და ერუდიცია განსაზღვრავს მწერლობის დონეს. გემოვნება კი უწიგნოდ არ ყალიბდება. ,,რაც უფრო ადრე მივუბრუნდებით წიგნს, მით უფრო ადრე აღმოვაჩენთ საკუთარ თავს. ხოლო როგორც კი საკუთარ თავს აღმოვაჩენთ, მაშინვე გაგვიჩნდება უკეთესობისკენ სწრაფვის სურვილი“.[5]

ვფიქრობ, მსგავსი პროექტების განხორციელება აუცილებელია, რათა აღიზარდოს ჭეშმარიტი მკითხველი და არა ,,გადამკითხველი“.

[3] იმ სიუჟეტებს (პერსონაჟთა მოქმედებისა და მოვლენათა განვითარების სქემებს), რომლებიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში მეორდება „მოარულს“ უწოდებენ.
[4] მკითხველის თეატრი ლიტერატურული ნაწარმოების ჯგუფური წარმოდგენაა დრამატული ფორმით.
[5] ოთარ ჭილაძე „ჩანაწერები, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010

განხორციელების გზები და საშუალებები

ამოცანის დასახელება	ამოცანის აღწერა და განხორციელების გზა	პასუხისმგებელი პირი და მონაწილეები	დრო და რესურსები	მოსალოდნელი შედეგი
განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული „კონკურსი საგანმანათლებლო პროექტის შექმნაზე“ სამიზნე ჯგუფისთვის გაცნობა და საინიციატივო ჯგუფის დაკომპლექტება, მოსაზრებების ჩანიშვნა, დახარისხება.	II საფეხურის მოსწავლეები შეიკრიბებიან სააქტო დარბაზში მშობლებთან ერთად და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი გააცნობს ინფორმაციას, რის შემდეგაც დაკომპლექტდება საინიციატივო ჯგუფი სურვილის მიხედვით და შეიქმნება პროექტის მონახაზი.	ქართული ენის კათედრა და II საფეხურის მოსწავლეები, მშობლები.	დრო: 45 წუთი, რესურსი: სააქტო დარბაზი, პორტატული კომპიუტერი, პროექტორი, მიკროფონი	ინფორმირებულობა მოცემულ საკითხზე
პროექტის გეგმის დაწერა	შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით დაიწერება გეგმა	ქართული ენის კათედრა, მშობელთა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი	დრო:1–დან 2 საათამდე რესურსი: საკლასო ოთახი, თაბახის ფურცლები, კალმები, დაფა, ცარცი	პროექტის გეგმა

კონკურსებისათვის ჟიურის შერჩევა	ქართულის კათედრა დაასახელებს თავის 1 წარმომადგენელს შეთანხმების საფუძველზე, ესთეტიკის კათედრაც 1 წარმომადგენელს, მათ დაემატება 2 მშობელი და 1 მოსწავლე სამეურვეო საბჭოდან	ქართულის კათედრა, მშობელთა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი	დრო: 1სამუშაო დღე, რესურსი: ტელეფონი, კომპიუტერი მეილისთვის	ჟიური
ფერადი ყუთის , სარეკლამო პლაკატისა და ბიულეტინების დამზადება და განთავსება.	ესთეტიკის კათედრა, მშობელთა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფთან ერთად, დაამზადებს ფერად ყუთს, პლაკატსა და ბიულეტინებს.	ესთეტიკის კათედრა, მშობელთა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი	დრო: 1 დღე რესურსი: კომპიუტერი, პრინტერი, მუყაოს ყუთი, ფერადი ფლომასტერები, სტეპლერი, წებო	ფერადი ყუთი , სარეკლამო პლაკატი და ბიულეტინები
ბიულეტინების დათვლა და გამარჯვებული ნაწარმოებების გამოვლენა	ქართულის კათედრა საინიციატივო ჯგუფთან ერთად სპეციალურად მომზადებულ საკლასო ოთახში დაითვლის ბიულეტინებს და გამოავლენს გამარჯვებულ	ქართულის კათედრა საინიციატივო ჯგუფთან ერთად	დრო: 1 სამუშაო დღე რესურსი: საკლასო ოთახი	გამარჯვებული ნაწარმოებები

	ნაწარმოებებს.			
კონკურსი N1 „მოარული“ სიუჟეტის გამოყენებით მხატვრული ტექსტის შექმნა	ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ „მოარული“ სიუჟეტის გამოყენებით მხატვრული ტექსტის შექმნა და 1 კვირის ვადაში ჩაბარება.	ქართულის კათედრა საინიციატივო ჯგუფთან ერთად	დრო: 1 კვირა	წარმოდგენილი ნაშრომები
კონკურსი N2 სცენარი მკითხველის თეატრისთვის	ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ მკითხველის თეატრისთვის სცენარის შექმნა და 1 კვირის ვადაში ჩაბარება.	ქართულის კათედრა საინიციატივო ჯგუფთან ერთად.	დრო: 1 კვირა	წარმოდგენილი სცენარები
კონკურსი N3 წაკითხული ტექსტის ილუსტრირება	ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ წაკითხული ტექსტის ილუსტრაციების შექმნა და 1 კვირის ვადაში ჩაბარება.	ესთეტიკის კათედრა საინიციატივო ჯგუფთან ერთად.	დრო: 1 კვირა	წარმოდგენილი ილუსტრაციები
კონკურსი N4 ინტელექტუალთა თამაში „რა? სად?	იმ მოსწავლეთაგან რომლებიც 14 დღის ვადაში	ქართულის კათედრა, საინიციატივო	დრო: 1 სამუშაო დღე,	წაკითხული ტექსტის ცოდნის

როდის?“	წაიკითხავენ სამივე ნაწარმოებს, დაკომპლექტდება გუნდები ინტელექტუალური თამაშისთვის, ქართულის კათედრის მიერ ამავე ნაწარმოებების მიხედვით შედგენილი კითხვების გამოყენებით გაიმართება ინტელექტუალთა თამაში „რა? სად? როდის?“	ჯგუფი	რესურსი: საკლასო ოთახი, მაგიდები და სკამები, ფურცლები და კალმები, საათი	გამოვლენა
გამარჯვებულთა გამოვლენა	თითოეული კონკურსის დასრულების შემდეგ, ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს და შეადგენს მწერლებთან შეხვედრის მონაწილეთა სიას	ჟიური	დრო: 3 დღე რესურსი: წითელი კალმები, საკლასო ოთახი	გამარჯვებული მოსწავლეები
მწერლებთან შეხვედრა და მკითხველის თეატრის წარმოდგენა ლიტერატურულ კაფეში	საინიციატივო ჯგუფი მწერლებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ორგანიზებას	პასუხისმგებელი :საინიციატივო ჯგუფი მონაწილეები: გამარჯვებული მოსწავლეები	დრო: 5 დღე რესურსი: ტელეფონი, ლიტ.კაფე, ცხელი შოკოლადი, მგზავრობის	მწერლების გაცნობა, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება

	გაუკეთებს შეხვედრას		ხარჯები, ციფრული ფოტო აპარატი	